

---

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდიში 2009 წლის  
21 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია  
თემაზე:  
„საზოგადოებრივი მაუწყებელი: პოლიტიკა და  
საზოგადოება“

---

ძირითადი მომხსენებლები:

ირაკლი ალასანია – „ალიანსი საქართველოსთვის“  
ლიდერი  
ნინია კაკაბაძე – ჟურნალისტი  
პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის  
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

---

მოდერატორი: გოგი გვახარია

---

**გოგი გვახარია** – მოგესალმებით. მედია-კლუბის წევრებმა მოხილეს, თქვენთვის გამეცნო განცხადება, რომელსაც შემდეგ მსურველები ხელს მოაწერენ – მედია-კლუბი იწყებს ხელმოწერების შეგროვებას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 7 ადგილის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა გულისხმობს საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციის პროცესის დაწყებას. აქამდე არსებული სისტემა, საბჭოს პარტიტული სისტემით დაკომპლექტება (7 ადგილი ხელისუფლებას, 7 – ოპოზიციას და 1 – სამოქალაქო საზოგადოებას) სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნებსა თუ კონცეფციას არ ასახავს.

ამჯერად გამოცხადებული კონკურსი 7 ვაკანტურ ადგილზე საშუალებას გვაძლევს, ნაწილობრივ მაინც მოვახერხოთ სამეთვალყურეო საბჭოს დეპოლიტიზირება. ამისთვის, პოლიტიკური მხარეები უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩამოშორდნენ საარჩევნო პროცესს, თავად არ წარადგინონ კანდიდატები და გზა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივას დაუთმონ. თქვენ მოგეცემათ საშუალება, გაეცნოთ ამ განცხადებას და თუ გადაწყვეტთ, მას ხელი მოაწეროთ.

ახლა სიტყვას საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ პავლე კუბლაშვილს გადავცემ.

**პავლე კუბლაშვილი** – ბევრი თქვენგანი, ალბათ, იცნობს კანონს საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ, რომელიც თავისი შინაარსით მართლაც გამორჩეულია და ბევრი ქვეყნისთვის სამაგალითოც გახდა. ამ კანონის არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებდა და არ ითვალისწინებს რაიმე სახის პოლიტიკურ შეთანხმებას ან პოლიტიკური პარტიების მხრიდან ქვოტების გადანაწილებას სამეურვეო საბჭოში, და მიმაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა იყოს გარანტი საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობისა.

როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესში ჩართულია პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ბუნებრივია, პოლიტიკური ნაწილი მთლიანად გამორიცხული ვერ იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში და გარკვეულ მიზეზთა გამო, ეს პროცესი და პოლიტიკური მონაწილეობა ამ საკითხში კიდევ უფრო შორს წავიდა. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ბევრი კითხვის ნიშანი ან პრეტენზია ისმოდა. განსაკუთრებით, ოპოზიციური პარტიების მხრიდან. ამიტომაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა, მისი გადაცემები, ცალკეული სიუჟეტები თუ საინფორმაციო პოლიტიკა ყოველთვის იყო პოლიტიკური დებატების საგანი. მოგვიანებით გადაწყდა, რომ საბჭო კონსესუსის გზით უნდა დაკომპლექტებულიყო.

ამის შემდეგ სხვადასხვა მოვლენების განვითარების ფონზე, კვლავ წარმოიქმნა წინააღმდეგობები საზოგადოებრივი მაუწყებელთან მიმართებაში. პოლიტიკურ პარტიებში გრძელდებოდა დისკუსია ამ საკითხებზე და შესაბამისად, უფრო ხშირად საზოგადოებრივი მაუწყებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე ან დარტყმის ობიექტი, ან საგანი, რომლის ირგვლივაც მუდმივად იმართებოდა მსჯელობა. ახლა შეგნებულად არ გავიხსენებ ყველაფერ იმას, რაც ხდებოდა აქციების დროს საზოგადოებრივი მაუწყებელთან მიმართებაში. ბუნებრივია, ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, მიუღებელია ჟურნალისტებთან იმ ფორმებით ურთიერთობა, რომლებსაც მაშინ იყენებდნენ. ალბათ, იყვნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ადამიანები, რომლებმაც საბჭოში ყოფნაზე უარი იმის გამო განაცხადეს, რომ პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირება უფრო აინტერესებდათ. ეს იყო ყველაზე საშიში ტენდენცია, რომელიც გამოჩნდა და ეს ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ იმ შემთხვევაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება კონკრეტულ კანდიდატურებთან დაკავშირებით განპირობებული იყო მათი პოლიტიკური პოზიციით და არა იმით, რომ მათ სამეურვეო საბჭოში რაიმეს შეცვლის ან მონაწილეობის სურვილი ჰქონდათ.

სამწუხაროა, რომ სამეურვეო საბჭო პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცა, – ამ პროცესს სხვას ვერაფერს დავარქმევთ. მსგავსი პოლიტიკური შეთანხმებები ისეთ საკითხზე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელია, შესაძლოა, არც იყოს მისაღები. პრეტენზიები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოდან ამ ოთხი პიროვნების წასვლის შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა. ჩვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტში ოპოზიციური პარტიების წარმოდგენლობა ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ნეიტრალური და დამოუკიდებელი ფიგურების არსებობას. ამიტომაც, გადაწყვეტილად გამოგვეცხადებინა კონკურსი იმ ვაკანსიებზე, რომლებიც დამატებით შექმენით და დაგვემატებინა სამეურვეო საბჭოს წევრები. შესაბამისად, დღეისთვის 15-მდე გაიზარდა წევრთა რაოდენობა, მათგან 8 უკვე დანიშნულია, 7 ვაკანტური ადგილია. შეთავაზება არ გულისხმობს პარტიის წევრების წარდგენას. შევთანხმდით, რომ კანდიდატები გათვითცნობიერებულნი იქნებიან ამ სფეროში და შეედლებათ საზოგადოების პოზიციის გამოხატვა. ეს შეთავაზება დღესაც ძალაშია. ჩვენ მზად ვართ და ველოდებით გამოხმაურებებს. რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ პირდაპირ განაცხადა, რომ ამ პროცესში მონაწილეობა არ სურთ; ნაწილს კი აქვს სურვილი საზოგადოებიდან შეირჩნენ ის პირები, რომლებიც ღირსეულად წარმოაჩენენ სამეურვეო საბჭოს, გამოხმაურება ამ ნაწილთან დაკავშირებით სახეზეა.

კონკურსი რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა, ახლა ველოდებით განაცხადებს, რის შემდეგაც პარლამენტში განიხილება ეს საკითხი. პროცედურის მიხედვით, ერთ ვაკანსიაზე 3 კანდიდატი უნდა იყოს წარმოდგენილი. ჩვენი ხმები იქნება პოლიტიკური შეთანხმების ამსახველი და დააფიქსირებს ამა თუ იმ წევრის ბედს სამეურვეო საბჭოში. ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, ველოდები თქვენს შეკითხვებს.

**გოგი გვახარია** – არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიც თუ მონაწილეობენ ამ პროცესში და რომელმა პარტიებმა განაცხადეს ამ დროისთვის თანხმობა ამ პროცესში მონაწილეობაზე?

**პავლე კუბლაშვილი** – თუ ამ საკითხს პარტიათა დიდი წრე გამოეხმაურება, თუ ამ პროცესში შვიდზე მეტი პარტია მიიღებს მონაწილეობას, მაშინ, თავად პარტიები შეთანხმდებიან. ჯერჯერობით გამოგვეხმაურნენ „ქართული დასი“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“. რადგან ამ კონკურსში ჩვენ არ ვაპირებდით კანდიდატების დასახელებას, ვთხოვეთ ვიცე-სპიკერს ბ-ნ ლევან ვეფხვაძეს, რომ ოფიციალურად მიემართა ოპოზიციური პარტიებისთვის. როგორც ჩემთვის ცნობილია, მან გამართა ბრიფინგი და რამდენიმე შეხვედრაც მოაწყო. ჩვენი მხრიდან ამ მიმართულებით სხვა აქტივობა არ ყოფილა.

**გოგი გვახარია** – გმადლობთ. ბ-ნი ირაკლი ალბათ გვიამბობს, თუ რატომ არ მონაწილეობს ამ დისკუსიაში „ალიანსი საქართველოსთვის“. მოვუსმინოთ ბ-ნი ირაკლი ალასანიას.

**ირაკლი ალასანია, „ალიანსი საქართველოსთვის“, თავმჯდომარე**, – ამ საკითხებს პოლიტიკოსის კუთხიდან შევხედავდი: თუ როგორი მედია გვჭირდება იმისთვის, იქნება ეს არჩევნები თუ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი, რომ ოპოზიციურ ძალებს გაეხსნათ მედია-სივრცე შესაბამისი კამპანიის ჩასატარებლად. ამ კუთხით ვუყურებ დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ მიმდინარე დებატებსაც. ბუნებრივია, ახლა არ დავიწყებ იმის შეფასებას, არსებობს თუ არა ნდობა მაუწყებლის მიმართ, ან როგორი საინფორმაციო და სარედაქციო დამოუკიდებლობაა იქ ან სხვა ნაციონალურ არხებში. ჩემი აზრით, მაუწყებლის ირგვლივ დღეს მიმდინარე პროცესი, ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან გამიხარდა,

როდესაც გავიგე მედია-კლუბის ამ ინიციატივის შესახებ. ძნელად წარმომიდგენია, ჩემს მიერ ან სხვა ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის მხრიდან დასახელებულმა კანდიდატმა იმაზე მეტი შეძლოს, ვიდრე საზოგადოებისთვის ცნობილმა, ობიექტურობის ხარისხის მატარებელმა წარმომადგენელმა. მე ვეთანხმები თქვენს ინიციატივას და ეს არა მარტო ჩემი, არამედ ალიანსის პოზიციაა. ვეთანხმები ინიციატივას, რომ შვიდივე კანდიდატი დასახელებული იყოს თქვენ მიერ და ჩვენ მათ მხარს დაუჭერით. გარდა ამისა, ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუ საბჭოს თხუთმეტივე წევრი ამ ფორმით იქნებოდა შერჩეული. ეს ძალიან ბერ რამეს დაარეგულირებდა, პირველ რიგში – ნდობის დეფიციტს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ. არც ოპოზიციას, არც ხელისუფლებას არ სჭირდება, იქ თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ. სახელმწიფოს ისედაც აქვს ბერკეტი – შეუძლია საზოგადოებრივი ფული, რაც იქ იხარჯება და გააკონტროლოს და გავლენა იქონიოს ამ ორგანიზაციაზე. პარლამენტის შემოქმედების ბერკეტი ამ კუთხით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდევ.

რაც შეეხება საბჭოს უფლებამოსილებებს, ესეც უნდა გადაიხედოს. ვიცი, რომ რეალურად სამეთვალყურეო საბჭოს არანაირი გავლენა მაუწყებლის საქმიანობაზე არ ჰქონია. არც იმ კრიზისულ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივი არხი განსაკუთრებულად სიფრთხილით და ზომიერად უნდა მოკიდებოდა მოვლენების გაშუქებას. ცნობილია, რომ პირდაპირი დირექტივები მოდიოდა კონკრეტული სამთავრობო პირებიდან, ამის უარყოფას, ალბათ, ვერავინ შეძლებს. ეს იყო მწარე გამოცდილება, რომელმაც ამ პოლიტიკურ პროცესში მყოფ არც ერთ მხარეს, არც ოპოზიციას და არც ხელისუფლებას, კარგი სამსახური არ გაუწია, ამიტომ, უნდა შევცვალოთ ხედვა და მომავალზე ვიფიქროთ.

მიმაჩნია, რომ საარჩევნო პროცესი ნორმალურად ვერ წარიმართება, თუ ისეთი ტელევიზია, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელია, საზოგადოების სამსახურში არ ჩადგა. ასეთ შემთხვევაში აზრი დაეკარგება იმ გეგმას, რომელიც, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ განხორციელდება: პოლიტიკური პროცესი და არჩევნები უნდა იყოს ერთადერთი გზა ქვეყანაში იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რაც საზოგადოების დიდ ნაწილს სჭირდება. ხელისუფლებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ისტერიული ფონიდან, რაც ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ქვეყანაში სუფევდა, ნორმალურ პოლიტიკურ პროცესში გადაინაცვლოთ. ამიტომ, ინიციატივას მთლიანად ვეთანხმები. დარწმუნებული ვარ, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების საკმაოდ დიდი ნაწილი ასევე მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას. ეს ძალიან რთული პროცესია და ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორმე მოვახერხოთ უნდობლობის გადალახვა. „ალიანსი საქართველოსთვის“ მზად არის, ამ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფორმალური მოწვევა შეხვედრაზე არ მომსვლია, თორემ ყველგან გამოვხატავდი სურვილს, რომ ამ პროცესში ჩართულები ვყოფილიყავით. ახლა უკვე ჩავერთვებით, იმიტომ რომ არსებობს ინიციატივა, არსებობს ჩვენი მხარდაჭერა და შემდგომში უკვე აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ამ საკითხის გადაწყვეტაში.

**გოგი გვანარია** – დიდი მადლობა. ჩვენ ამ თემაზე პირველად არ ვსაუბრობთ. ბიოლის ფონდში დაახლოებით ერთი წლის წინ გაიმართა დისკუსია, სადაც თამარ კინწურაშვილი, ზვიად ქორიძე და ეკა კვესიტაძე მონაწილეობდნენ. მაშინ ჩვენ ვსაუბრობდით, როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი მაუწყებელი. მართალი გითხრათ, მაშინ, სხდომის დასასრულს ქნმა თამარმა განაცხადა, რომ დარწმუნებული იყო, მაუწყებელი მომავალში კიდევ უფრო უარესი გახდებოდა. ფაქტია, რომ ასეც მოხდა.

მე ახლა ნინია კაკაბაძეს გადავცემ სიტყვას, რომელიც ალბათ ახსნის ამის მიზეზებს და რა თქმა უნდა, მედია-კლუბის ინიციატივაზეც ისაუბრებს.



**ნინია კაკაბაძე** – დიდი მადლობა, პირველი საჯარო მხარდაჭერა, რომელიც მედია-კლუბმა და საინიციატივო ჯგუფმა მიიღო, ეს „ალიანსი საქართველოსათვის“ მხარდაჭერაა და იგი ბ-ნმა ირაკლი ალასანიამ გაახმოვანა.

ბ-ნი პავლეს მხარდაჭერას სიამოვნებით მივიღებთ, თუკი მისი ინიციატივა იქნება, დაიშალოს არსებული საბჭო, ის თავიდან აირჩეს და თხუთმეტევე ადამიანი დასახელებული იყოს საზოგადოების და არა პოლიტიკოსების მიერ. ბ-ნი პავლე ძალიან ხშირად იშველიებს იმ არგუმენტს, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ბორღში ხელისუფლების სახელით არიან წარმოდგენილნი, არ არიან მათი პოლიტიკური პარტიის წევრები. გასაგებია, რომ პოლიტიკური პარტიის წევრი ვერ გახდება საბჭოს წარმომადგენელი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ როდესაც პოლიტიკური პარტია ასახელებს თავის კანდიდატს და ის კანდიდატი საზოგადოების წარმომადგენელია, როგორი ობიექტურიც არ უნდა იყოს, ანაგარიშვალდებული ხდება ამ პარტიასთან. მით უმეტეს, კრიტიკულ მომენტებში იძულებულია, გაითვალისწინოს იმ პარტიის მითითება და ინტერესები, რომელმაც წარადგინა და რომლის ძალისხმევითაც მოხვდა ბორღში.

ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ეს ინიციატივა მთლიანად შესრულდება, და ერთბაშად მივიღებთ დეპოლიტიზებულ არხს. ჩვენთვის მთავარია, როგორმე დავიწყოთ ეს რთული პროცესი, სადაც ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. ბევრ პარტიას უჭირს უარის თქმა იმაზე, რომ მისი წარმომადგენელი საზოგადოებრივი ტელევიზიის ბორღში იყოს. მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიციისგან პირველ შეხვედრაზე მივიღეთ თანხმობა, განგვიცხადეს, რომ ჩვენს ინიციატივას მხარს დაუჭერდნენ, ჩვენ ბ-ნ ლევან ვეფხვაძესთან გვქონდა შეხვედრა, მისგან სიტყვიერი თანხმობა მიღებული გვქონდა, მაგრამ შემდეგ ტელევიზიით მოვისმინეთ, რომ საკუთარი კანდიდატის წარდგენას აპირებენ. როგორც მოგახსენეთ, პოლიტიკური პარტიებისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა იმ ფაქტთან შეგუება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოში ერთი წარმომადგენელი მაინც არ ჰყავდეთ. არ ვიცი, მათ რისი გაკეთება შეუძლიათ ამ პარტიისთვის, მაგრამ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ წარვადგენთ, დარწმუნებული ვარ, რომ მართლაც შეუძლიათ საზოგადოებისათვის, ვისაც ეს ტელევიზია ეკუთვნის, ბევრი კარგი საქმე გააკეთონ. ასევე, ერთ-ერთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას გავაცანით ჩვენი ინიციატივა, მაგრამ იგივე პრობლემაა: მაინც უნდათ, საბჭოში რომ საკუთარი კანდიდატები გაიყვანონ. ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა „ალიანსს“ ამ მხარდაჭერისათვის.

სამწუხაროდ, იმ პრინციპს, რომლითაც მიდის არხის განვითარების პროცესი, დღითიდღე აბსოლუტურ კრახამდე მივყავართ, ყოველდღიურად უარეს შედეგს ვიღებთ. მთავარი პრობლემა იმ ნების არქონაა, რომელსაც არხის დეპოლიტიზება ჰქვია. ზაფხულში, როდესაც მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ირჩევდნენ, მოვითხოვეთ, არჩევნები იმ პერიოდისათვის გადადებულიყო, როდესაც სამეურვეო საბჭო მთლიანად დაკომპლექტდებოდა. რასაკვირველია, მაშინ უარი მივიღეთ. კარგად ვიცოდით, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და რომ გენერალური დირექტორი აუცილებლად გიორგი ჭანტურია უნდა გამხდარიყო. არჩევნების პროცესი ნაწილობრივ გამჭვირვალე გახდა – ჩანაწერები შემდეგ ინტერნეტის საშუალებით ვნახეთ, მაგრამ სპექტაკლის დადგმა პირდაპირ ეთერშიც შეიძლება. არ მესმის, რატომ არ აჩვენეს პირდაპირ ეთერში მთლიანად და რატომ შემოგვთავაზეს ჩანაწერის სახით. ნათელი იყო, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და მხოლოდ პროცედურას ვაკვირდებოდით, რომელიც წინასწარ მომზადებული და გათვლილი იყო.

პოლიტიკური პარტიები იბრძვიან იმისათვის, ვის მეტი წარმომადგენელი ეყოლება ბორღში. პოლიტიკოსებმა ვერ შეიგნეს, რომ საზოგადოებრივი არხი მათი კუთვნილება არ არის. ოპოზიციას სურს, რომ მის დაქვემდებარებაში იყოს ეს არხი, ხელისუფლებასაც იგივე უნდა და არც ერთს არ ახსოვს, რომ ამ არხს აბსოლუტურად განსხვავებული ფუნქცია გააჩნია. მისი ფუნქცია არც მიტინგების გაშუქებაა. რასაკვირველია, მას ევალება ობიექტურად ასახოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მით უმეტეს, როდესაც მოვლენები

კრიტიკულ ფაზაშია შესული, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ არხის მთავარი ფუნქციაა სხვადასხვა ინტერესის ჯგუფების დაკმაყოფილება, აქ უმცირესობების წარმომადგენლები იგულისხმებიან. მაუწყებელს საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს, რასაც ერთეული გამონაკლისის გარდა, ვერ ასრულებს. არ შეეკებ გოგი გვახარიას, რომელიც გვერდით მიზის, ღიად ვიტყვი, რომ მისი გადაცემა არის ერთადერთი, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ტელევიზიის მოთხოვნებს. დანარჩენი, საინფორმაციო გადაცემებით დაწყებული, გასართობით დასრულებული, შეიძლება გადიოდეს ნებისმიერ კერძო არხზე, მაგრამ არა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ბ-ნი ლევან ყუბანეიშვილი, წინა დირექტორი აცხადებდა, ჩვენი მთავარი მიზანი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მაყურებლის დაბრუნებააო. ამისთვის ძალიან დიდი თანხა დაიხარჯა, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ გაკეთებულა. არხს დღეს კიდევ უფრო დაბალი რეიტინგი აქვს, ვიდრე თამარ კინწურაშვილის დროს ჰქონდა. მაშინ იყო პრობლემები გამოსახულების თვალსაზრისით, ყუბანეიშვილმა უკეთესად „შეფუთა“ არხი, მაგრამ მაყურებელი მაინც არ დაბრუნებია. ვხედავთ, რომ ის პრინციპი, რომლითაც ვმოქმედებთ, არ ამართლებს და უარეს შედეგამდე მივდივართ. ამიტომ, ჩვენი ინიციატივის მთავარი მიზანია, ყველანი, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ერთად ვიყოთ ამ არხზე პასუხისმგებლები.

მოგვეცით ცოტა მეტი შანსი, ვიყოთ ჩართულები ამ პროცესში და უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ. მედია-კლუბი მხოლოდ ინიციატორია. რაც შეიძლება, მეტი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს, რომ მეტი ადამიანის წინაშე გრძნობდეს თავს ანგარიშვალდებულად ის, ვინც მოხვდება ამ ბორდში. ის უნდა იყოს ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ერთ თვეში ამ არხისგან „ბი-ბი-სის“ შექქმნით. არ მესმის პოლიტიკური პარტიების არგუმენტები, იქნება ეს უმრავლესობა, უმცირესობა, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო, რატომ არ შეიძლება რომ ამ ინიციატივას დაუჭირონ მხარი და რატომ ვდებთ მომავლისთვის სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების „ბი-ბი-სის“ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ სფეროს აქვს ბორდში თავისი კანდიდატის წამოყენების უფლება. რატომ არ გადავდივართ ამ მოდელზე, მით უმეტეს, როდესაც საბოლოო სიტყვა მაინც პარლამენტზეა დამოკიდებული. ჩვენ შევეცდებით, მივმართოთ და ვაიძულოთ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, ჩამოცილდნენ ამ არხს, გახდნენ რიგითი მაყურებლები და მათი დაინტერესება ამოიწურებოდეს ერთი მიმართულებით, რომ მაუწყებლისგან მივიღოთ ნორმალური, დამოუკიდებელი და ობიექტური ტელევიზია. ეს არის ჩვენი მიზანი. ძალიან დიდი მადლობა ყველას წინასწარ, ვინც მხარს დაუჭერს ჩვენს ინიციატივას. მიუხედავად იმისა, რომ არ ვართ დარწმუნებულები, რომ ჩვენს ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება და გავიმარჯვებთ, იმედს არ ვკარგავთ, რომ ახლა თუ არა, შემდეგში მაინც მივალწევთ მიზანს.

**გოგი გვახარია** – იმედი მაქვს, ბევრი კითხვა დაისმება. მეც მაქვს შეკითხვა, რატომ გახდა საჭირო საბჭოში 15 წევრის არსებობა. მე მგონი, 15 კაცი გადაწყვეტილებას ვერასოდეს ვერ მიიღებს.

მეორე კითხვაც მაქვს მედია-კლუბის წევრებთან. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ საქართველოში 15 აპოლიტიკური ადამიანის პოვნა. მაგრამ ვიდრე ჩემს კითხვებზე მიპასუხებდეთ, მანამდე ბ-ნ ეროსი კიწმარიშვილს მოვუსმინოთ.

**ეროსი კიწმარიშვილი** – სამი დეტალის დაზუსტება მინდა. იმ განწყობიდან გამომდინარე, რომელიც მედია-კლუბს გააჩნია, მეუფლება განცდა, რომ თქვენ კი არ ითხოვთ, არამედ თხოულობთ რაღაცას. ჩემი პირველი და ვფიქრობ, ძალიან პრინციპული კითხვაა, რატომ 7 და არა 15 კანდიდატი. რატომ სთხოვთ თქვენს მიმართვაში ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს 7 წევრზე კომპრომისს, როცა გვყავს ხელისუფლება, რომელსაც გააჩნია კონტროლში, როგორც მიხილლ სააკაშვილმა „სი-ენ-ენზე“ განაცხადა, 25 ტელევიზია.

ჩემთვის გაუგებარია საკითხის ასე დასმა. აქ უკვე დევს ქვემოდან ზემოთ ცქერის მომენტი, როდესაც მათი გადასაწყვეტია და რაღაც უნდა დაგითმონ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აქ ის არგუმენტები, რომ ოპოზიცია ცუდად იქცეოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შესასვლელში, არ მუშაობს. იმიტომ რომ ბევრ სხვა შემთხვევაში ხელისუფლება უფრო ცუდად იქცეოდა.

მეორე, ასევე ძალიან პრინციპული საკითხი, რომელიც ზაფხულში ჩუმად გააპარეს პარლამენტის წევრებმა, სად გაქრა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,15%. სად გაქრა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის მთავარი მახასიათებელი, რომელიც 2004 წელს შევიშრუშავეთ ყველამ ერთად. თუ შეიძლება, მედია-კლუბმა თავის წერილში ჩაღოს ეს მოთხოვნაც.

ჩვენ საქმე გვაქვს ორ თემასთან: საბჭოს სრული გამოცვლა და საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დამოუკიდებლობის დაბრუნება. არა ვიღაცის კეთილი ნების, არამედ კანონის საფუძველზე. ამ საკითხზე მაინტერესებს მედია-კლუბის წევრების მოსაზრება. შემდეგ უკვე ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მექანიზმით არის შესაძლებელი ამის იმპლემენტაცია.

**შორენა შავერდაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“** – მე გახლავართ მედია-კლუბის ერთ-ერთი წევრი. რა თქმა უნდა, თხუთმეტივე წევრის შეცვლა იდეალური სქემა იქნებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე კონკურსი მხოლოდ 7 ადგილზეა გამოცხადებული. ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს მოთხოვნაც, მაგრამ შედეგი არ მოჰყვება. ამის დიდი გამოცდილება აქვს სამოქალაქო საზოგადოებას. არ არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ აპირებენ საბჭოს თხუთმეტივე ადგილზე კონკურსის გამოცხადებას. დღეისთვის ამ 7 ადგილის დაკომპლექტება დამოუკიდებელი და პრინციპული ადამიანებით დღეს უფრო რეალურია, და ეს ძალიან სერიოზული შედეგი იქნება. განცხადებაში წერია, რომ არანაირ კანონიერ საფუძველს პარიტეტული პრინციპით საბჭოს დაკომპლექტება არ ეფუძნება. მაგრამ სახეზეა რეალობა და არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა.

სიტუაცია დაახლოებით ასეთია: ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციას შეუძლია ამ 7 ადგილის დაკომპლექტება. ამიტომ მინდა კონკრეტული მექანიზმები, შევთავაზო ბ-ნი ირაკლი ალასანიას. საუბარია იმაზე, რომ არსებული პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის განცხადება, რომ ისინი ამ პროცესში არ ერთვებიან, საკმარისი არ არის. საჭიროა ამ საკითხის ირგვლივ მთელი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება. ეს იქნება ჩვენთვის დამატებითი გარანტია საიმისოდ, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ეს 7 ადგილი მაინც დააკომპლექტოს. დიდი მადლობა “ალიანსს” ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერისთვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. იქნებ, მოგვეხმაროთ მთელ პოლიტიკურ სპექტრთან შეხვედრის მოწყობაში, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციასთანაც, რათა უფრო კოორდინირებულად ვიმოქმედოთ. ვფიქრობ, შედეგს მივალწევთ, თქვენთვის ეს ერთ-ერთი სერიოზული წარმატება იქნება.

ბ-ნ პავლესთან მაქვს შეკითხვა, თუ შეთანხმებას მთელ პოლიტიკურ სპექტრთან მივალწევთ და ისინი გზას დაგვითმობენ, რამდენად გვექნება იმის გარანტია, რომ სიის პარლამენტში შემოსვლის შემდეგ ობიექტურები იქნებით არჩევანში?

**ნინია კაკაბაძე** – აპოლიტიკური ადამიანები არ არსებობენ, ამიტომ, ჩვენ ვითხოვთ საბჭოში ისეთი ადამიანების შესვლას, რომლებიც არც აშკარად და არც ფარულად არ არიან მიკერძოებულები რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ. თუ ჩვენ ის პრობლემა მოვხსენით, რომ საბჭოში შესულ კანდიდატს მოეხსნება ანგარიშვალდებულების შეგრძნება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან, ის გაცილებით თავისუფალი იქნება, თორემ პოლიტიკური სიძაბოები და ანტიპათიები ყველა ჩვენგანს გვაქვს.

**შორენა შავერდაშვილი** – აქ საუბარია არა ვილაცების პირად გემოვნებაზე, არამედ იმაზე, რომ ადამიანებს შეეძლოთ დამოუკიდებლად მუშაობა ამ საბჭოში, იყვნენ ძალიან პრინციპულები და დაიცვან საზოგადოებრივი მსაწყვებლის და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესები.

**გოგი გვახარია** – მე მაინც ვიტყვი, რომ საქართველოში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ისეა გავრცელებული „ბოლშევიზმი“ – ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია, რომ ამ 15 კაცის პოვნა ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ მაინც მგონია, რომ პოლიტიკური პარტიები მხარს დაუჭერენ თქვენს ინიციატივას, იმიტომ რომ ყველა კანდიდატზე იქნება საუბარი, რომ ის ამა თუ იმ პარტიის მომხრეა.

**ნინია კაკაბაძე** – გუშინწინ იყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. მათ გვისაყვებდნენ, რომ გამზადებულ სიაზე ვთავაზობთ მხარდაჭერას. დიახ, არჩევანი ჩვენ გააკეთეთ, იმიტომ რომ სწორედ იმ მიზეზების გათვალისწინებით, რომლებზეც გოგიმ ისაუბრა, ძალიან რთულია შეთანხმება საერთო კანდიდატებზე. პოლიტიკურ პარტიებს მოვუწოდებთ არა ჩვენი კანდიდატების, არამედ ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერას.

**ირაკლი ალასანია** – დაინტერესებულები ვართ, რომ ეს ინიციატივა წარმატებული იყოს. ამ მიზნით უახლოეს დღეებში გვექნება კონსულტაციები იმ ოპოზიციურ პარტიებთან, ვისთანაც გვაქვს ურთიერთობა და ზევ დილით მე უკვე შემეძლება თქვენთვის პასუხის გაცემა, თუ როდის დაინიშნება შეხვედრა. ამ პროცესში შეიძლება საპარლამენტო ოპოზიციაც ჩავრთოთ. ჩემი აზრით, მაქსიმალური მხარდაჭერა უნდა იყოს ამ ინიციატივის მიმართ.

**ნინია კაკაბაძე** – მინდა შეგახსენოთ ამ არხის დეპოლიტიზების პროცესის დაწყების შესახებ ხელისუფლების და თავად მიხეილ სააკაშვილის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება, რომელიც როგორც უმრავლეს შემთხვევაში, განცხადებად დარჩა. ამიტომ, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მხარს დაგვიჭერს, ეძლევა შანსი, განცხადებიდან საქმეზე გადავიდეს და გადადგას ნაბიჯი ამ არხის დეპოლიტიზებისკენ.

**ლამა ბაქრაძე, ისტორიკოსი** – ცხადია, რომ ადამიანები დაინტერესებულები იქნებიან პოლიტიკური პროცესებით, მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. როდესაც პოლიტიკური პარტიები ასახელებენ ამა თუ იმ ადამიანს, პასუხისმგებლობაც ამ პოლიტიკური პარტიების მიმართ არსებობს, ამაზე ნინიამ უკვე ისაუბრა. როდესაც კანდიდატს საზოგადოებრივი ჯგუფი ასახელებს, იმედი გვაქვს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა იქნება თუნდაც ამ საზოგადოებრივი ჯგუფის მიმართ.

თავისთავად, კანონი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, მახინჯია და არ იძლევა ნორმალური საბჭოს არჩევის საშუალებას. სხვა ქვეყნებში, სადაც არსებობენ საზოგადოებრივი ტელევიზიები და სამეთვალყურეო საბჭოები, იქ სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ, მათ შორის პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც, ხდება დელეგირება გარკვეული ქვოტების მიხედვით. ჩვენს ქვეყანაში ეს ინსტიტუტები, სამწუხაროდ, ვერ ჩამოყალიბდა. ამიტომ შეუძლებელია ადგილების ამ პრინციპით გადანაწილება და გვიხდება ამ პროცესში ჩაბმა. ამიტომ, შედარებით უკეთესი პირობები იქნება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს წევრებს საზოგადოებრივი ჯგუფები დაასახელებენ. შესაძლოა, გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის უკანაც იდგეს რაღაც პოლიტიკური ძალები, მაგრამ სხვა გარანტიას ვერ ვხედავთ.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, საოცარია ის, რომ დღევანდელი კანონის მიხედვით ყველას შეუძლია საკუთარი თავის დასახელება, ანუ, ადამიანი არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თვითოეული ადამიანის უკან, რომელიც იქნება



საბჭოში, ვინ იდგა, ვინ დაასახელა ეს ადამიანი, რადგან პასუხი მოეთხოვება არა მარტო იმ ერთ ადამიანს, არამედ იმათაც, ვინც ეს ადამიანები დაასახელეს. ეს, პასუხისმგებლების გრძნობას, იმედი მაქვს, ცოტათი მაინც გაზრდის.

**გოგი გვახარია** – არც ის დაგვავიწყდეს, როგორი პარლამენტი გვაქვს. სწორედ ამ პარლამენტმა უნდა აირჩიოს ეს ხალხი, ვიყოთ რეალისტები.

**ნუგზარ ბარდაველიძე** – ჩემთვის, როგორც რიგითი მაყურებლისთვის, მთავარია, რომ ეს იყოს ხარისხიანი და საინტერესო ტელევიზია. გასაგებია, რომ ყველა პარტიას, სახელისუფლებო იქნება ეს თუ ოპოზიციური, სურს ჰყავდეს საბჭოში თავისი წარმომადგენელი. ვიდრე ტელევიზიაში არის საინფორმაციო გადაცემები, და უამისოდ ის ვერც იქნება, ბრძოლა არ დასრულდება. ტელევიზია, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია და არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება.

**ეროსი კიწმარიშვილი** – მნიშვნელოვანია მე-2 არხის საკითხიც. ჩვენ ამ არხთან დაკავშირებით გვახსოვს პარლამენტის დაპირებაც. ამიტომ ერთად უნდა განიხილებოდეს საბჭოს სრული შემადგენლობის, მე-2 არხის, მათივე დაპირებული სისტემიზაციისა და მთლიანი შიდა პროდუქტის 0,15%-ის საკითხი. მათი უფლებაა, რომ უარი თქვან ამაზე, მაგრამ თქვენ ხომ გეცოდინებათ, რომ მოითხოვეთ.

**შავლე გეგეჭკორი, ჟურნალისტი** – მე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოს თანამშრომელი ვარ და მინდა გითხრათ, რომ საზოგადოებრივი რადიო არის პატარა მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში იყოს მეტნაკლებად დეპოლიტიზებული სტრუქტურა. გული მწყდება, რომ ამდენი ხანი მიმდინარეობს საუბარი და არავის არ უხსენებია რადიო. თუ საზოგადოებრივ მაუწყებელს დღეს ოდნავ მაინც აქვს პრესტიჟი, ეს ტელევიზიაში დარჩენილი რამდენიმე ადამიანის და რადიოს დამსახურებაა.

**შავლე კუბლაშვილი** – მინდა ჩემი პოზიცია გაგაცნოთ, რატომ არ მიმაჩნია გამართლებულად არსებული საბჭოს დაშლა. ამას მარტივი მიზეზი აქვს. არ უნდა შევქმნათ იმის ტენდენცია, რომ თითქოს ის, ვინც დატოვა სამეურვეო საბჭო, მართალი იყო. ყოველთვის იქნება განსხვავებული შეფასებები. ბ-ნი ირაკლი, ბუნებრივია, უფრო მკაცრად შეაფასებს იმ საკითხს, თუ როგორ შექდებოდა მიტინგები, მე სხვა შეფასება მექნება. შესაძლოა, ვინმემ მოითხოვოს მიტინგის პირდაპირ ეთერში გაშვება დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მახსოვს, რას უთვლიდნენ იმ პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელს არაობიექტურობაში. მახსოვს, ბევრი შეთანხმება სრულდებოდა და მერე მას მოსდევდა მოთხოვნების კიდევ უფრო რადიკალიზაცია. არ მიმაჩნია, რომ ამ ნაწილში საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი წაყენებული მოთხოვნა სამართლიანი იყო და არა მგონია, რომ ვიღაცას ასეთი მოთხოვნების რეალიზებაში უნდა მივეხმაროთ. რაც შეეხება საინფორმაციო სამსახურის ობიექტურობას, ამაზეც ყოველთვის იქნება დავა, მაშინაც, თუკი, თქვენს მიერ დასახელებულ 7 კანდიდატს ავირჩევთ ბორდში, გამოითქმება პრეტენზიები.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური შეთანხმება და პოლიტიკური პარტიების მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩვენთვის შეთანხმების საგანი იქნება. როგორც მაშინ დავიცავით შეთანხმება, ახლაც მზად ვართ ამ შეთანხმების დასაცავად.

შეკითხვა დაისვა, რამდენად მოხერხდება აპოლიტიკური ადამიანების პოვნა. აპოლიტიკურობა არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი არ უყურებდეს საინფორმაციო გადაცემებს. აპოლიტიკურობაში მე ვგულისხმობ იმას, რომ კანდიდატი არ იყოს ბოლომდე

დამოკიდებული იმ ადამიანზე, ვინც წარადგინა. საბჭოს წევრმა უნდა დაიცვას ჟურნალისტების და არა პოლიტიკური პარტიის ინტერესები. ასეთი ადამიანები ამ სიაში მართლაც არიან და პირდაპირ მე მხარს დავუჭერ ამას. იმედი მაქვს, რომ ჩემი მხარდაჭერა არ იქნება განხილული როგორც ამ კანდიდატების სახელისუფლებო კანდიდატებად წარმოჩინების შესაძლებლობა.

დაისვა კანონის საკითხიც, ბ-ნმა ლაშამ მას მახინჯი უწოდა. თუ რაიმე საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ არ არის მახინჯი, ეს სწორედ კანონია. არჩევის წესზე გეთანხმებით, ჩვენს სიტუაციაში განსხვავებული წესის შექმნა ცოტა რთულია, ჩვენთან რომ იყოს ტრადიცია პროფკავშირებთან დაკავშირებულ საკითხებში, ან სხვა ინსტიტუტებთან დაკავშირებით, სხვანაირად მოვიქცეოდით, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი თავიდან გვქონდა შესაქმნელი, სხვა ფორმის მოფიქრება შეუძლებელი იყო. ამიტომ მიმაჩნია, რომ ის ნორმები, რომლებიც არის კანონში, ობიექტურად საუკეთესოა.

აქ იყო საუბარი იმაზეც, რომ განცხადებები განცხადებებისთვის კეთდება და სიტყვები საქმედ უნდა ვაქციოთ. ამ თემაზე არ დავიწყებ კამათს ნინიასთან, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიხსენებ იმ შეთანხმებას, რომელიც სამეურვეო საბჭოსთან დაკავშირებით შედგა. და ეს განცხადება მაშინ საქმედ იქცა. ახლაც მზად ვართ, იმავე პრინციპით ეს განცხადებაც საქმედ იქცეს.

**გოგი გვაზარია** – მაინც მინდა შევეკამათო ბ-ნ პავლეს საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. მაპატიეთ, მაგრამ ამ საბჭოს არანაირი პასუხისმგებლობა არ გამოუჩენია და ტელევიზიის დირექტორად აირჩია ადამიანი, რომელმაც ისეთი განცხადებები გააკეთა, რომელთა გამოც მას საზოგადოებისთვის პასუხის გაცემა მოუხდებოდა.. ეს საბჭოს დანაშაულია, მაგრამ საზოგადოებას, სამწუხაროდ მისთვის პასუხი არ მოუთხოვია.

საზოგადოებრივ არხს მართლა აქვს თავისი მისია და დანიშნულება, და საბჭო ამ ტელევიზიის ხელმძღვანელად ირჩევს ადამიანს, რომელიც თავისი განცხადებებით მას მთლიანად ეწინააღმდეგება.

**პავლე კუბლაშვილი** – მიუხედავად იმისა, ვინმეს მოსწონს თუ არა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დირექტორთან დაკავშირებით, ან მაგალითად, მოსწონთ თუ არა კორკოტას ან ლევან ერისთავის გადაცემა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში ასეთი განწყობები არ არის. ასევე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან ბორდმა ასეთი არჩევანი გააკეთა, ის უნდა დაიშალოს.

**თამაზ კუპრეიშვილი, ჟურნალისტი** – როგორც ვხედავ, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან. მაინტერესებს, თქვენი აზრით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა როგორ უნდა გააშუქოს რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობასთან დაკავშირებული საკითხები.

**ირაკლი ალასანია** – უნდა გააშუქოს ობიექტურად, ისე, როგორც დგას ეს პრობლემა საზოგადოებაში. ამ ინიციატივას მხარდაჭერას იმიტომ ვუცხადებთ, რომ მიმაჩნია, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ უნდა ერეოდნენ და არ უნდა ჰქონდეთ გავლენა ამ არხის სარედაქციო თავისუფლებაზე. ჩვენი მიდგომა ის არის, რომ სამეურვეო საბჭო საზოგადოებისგან დაკომპლექტდეს და პასუხისმგებლობა მას საზოგადოების მიმართ ჰქონდეს, რადგან ეს საზოგადოებრივი ტელევიზიაა. ამიტომ ჩვენ არც ვერევიტ კანდიდატურების შერჩევაში.

**ნინია კაკაბაძე** – ეს არის ერთადერთი არხი, რომელსაც გააჩნია თავისი ეთიკის კოდექსი, რომელიც უნდა დაიცვას ყველა რიგითმა ჟურნალისტმა. ეს კოდექსი

პროფესიონალურად არის შედგენილი. გია ჭანტურია თავისი განცხადებებით წინააღმდეგობაში მოდის ამ კოდექსის რამდენიმე მუხლთან. ეს ადამიანი თავისი განცხადებებით საუკეთესო მაგალითად შეიძლება გამოდგეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა დარღვიო ეს კოდექსი და ჟურნალისტური სტანდარტები.

**პავლე კუბლაშვილი** – თქვენ ამბობთ, რომ არავინ არ უნდა ჩაერიოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობაში და ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ იმავდროულად, რადგან საბჭოთა ეს ადამიანი აირჩია ხელმძღვანელად, პოლიტიკოსი ვალდებულია, ამისთვის საბჭო დაგმოს, დაშალოს და ხელახლა აირჩიოს, ეს მიდგომა უკვე არასწორია.

**ლამა ბაქრაძე** – იმის გამო, რომ ეს სისუსტედ ჩაგეთვლება?

**პავლე კუბლაშვილი** – არა, იმის გამო, რომ ეს არ იყოს წახალისება აქციების ფონზე ვილაცების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა.

რაც შეეხება რელიგიური გრძნობებით თამაშს, ეს არ არის სწორი. ქმედება, რომელიც მიმართულია სხვისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისკენ, არ შეიძლება იყოს წახალისებული და გამართლებული, ჩვენი მიზანი იქნება და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანიც უნდა იყოს, რომ თითოეულ კონფესიას მისცეს საკუთარი თავის წარმოჩინების საშუალება და შესაბამისად, თითოეული მათგანის უფლება დაცული იყოს.

**თამარ ხიდაშელი, “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” თავმჯდომარე** – ბ-ნო პავლე, თქვენ დღეს ბევრი ისაუბრეთ პოლიტიკურ გარიგებაზე და თქვით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება პოლიტიკური გარიგების ნაწილია. პოლიტიკური კრიზისის პირობებში, თითქოს ეს კეთილშობილ მიზანს ემსახურება და ოპოზიციას მას ამ კრიზისის განსამუხტავად სთავაზობთ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მოტივაცია, რას უშვრებით კანონს, სადაც არაფერია ნათქვამი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ქვოტების გადანაწილებაზე, ან იმას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენისგან.

თქვენ ახსენეთ, რომ პოლიტიკური პარტიების წევრები არ იქნებიან დასახელებულები. ეს კანონის მიხედვით თავისთავად იგულისხმება. კანონში არსებობს მუხლი, რომელიც პირდაპირ კრძალავს და ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევს იმას, რომ ადამიანი იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და ამავე დროს სამეურვეო საბჭოში დასახელებული. რატომ აძლევს ხელისუფლება თავს უფლებას, თავი დააყენოს კანონზე მაღლა? თუმცა, ეს კრიტიკა არ ეკუთვნის მხოლოდ ხელისუფლებას, ოპოზიციურმა პარტიებმა ასევე გამოთქვეს სურვილი და თქვეს, რომ მათ ეკუთვნით ქვოტები და სურთ ამ ქვოტებით სარგებლობა და საკუთარი კანდიდატების დასახელება. გმადლობთ.

**პავლე კუბლაშვილი** – გეთანხმებით. კანონი გამორიცხავს ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიის წევრის გაყვანის შესაძლებლობას სამეურვეო საბჭოში, მაგრამ მეორე მხრივ, შევხედოთ რეალურ სიტუაციას. ამ კანონით დადგენილი პროცედურა, საქართველოს პარლამენტის მიერ ერთ ვაკანსიაზე წარდგენილი სამი წევრიდან ერთ-ერთის შერჩევას ითვალისწინებს. შესაბამისად, პოლიტიკური კომპონენტი, პარლამენტის გადაწყვეტილების სახით, აქ უკვე შემოტანილია.. ვინც არ უნდა ყოფილიყო წარმდგენი მხარე, ვისაც არ უნდა დაესახელებინა ეს პირები, შეთანხმების გარეშე მათი არჩევის შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ ისინი არჩეულია საქართველოს პარლამენტის და შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის მიერ. ამიტომ, იმ 7 პიროვნებასთან დაკავშირებით არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები, ხომ არ არიან ეს ადამიანები მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილი და გაყვანილი წევრები, პოლიტიკურ პარტიებს ეს შეთანხმება შევთავაზეთ. თუ თქვენ ეს არასწორად

მიგაჩნიათ, მზად ვართ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შევთავაზოთ საკუთარი კანდიდატების წარმოდგენა. პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამ მიმართულებით კრიტიკა მომავალშიც რომ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ. ვინც არ უნდა მონაწილეობდეს დღევანდელი შეთანხმების პროცესში, დარჩება არა ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მაინც იტყვის, რომ ეს იყო ბინძური გარიგების შედეგი და ა.შ. მაგრამ ჩემი აზრით, პოლიტიკური კონსენსუსი რაღაც ხარისხით მაინც, წაადგება სამეურვეო საბჭოს.

**პატა საბელაშვილი, ფონდი „ინკლუზივი“** – მინდა გთხოვოთ, ნუ ვლაპარაკობთ მხოლოდ საინფორმაციო სამსახურზე, სწორედ ეს იწვევს ამ საკითხის პოლიტიზებას. მე, შესაძლოა, საერთოდ არ მქონდეს პოლიტიკური ბრძოლის მიმართ ინტერესი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკა ზოგადად არ მაინტერესებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი არის საზოგადოების ხარჯზე არსებული ის წარმონაქმნი, რომელმაც უნდა გაანათლოს ეს საზოგადოება იმისათვის, რომ მას შეეძლოს სწორი პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. ამაზეა საუბარი და არა მხოლოდ საინფორმაციო სივრცის ათვისებაზე. შესაძლოა, უფრო მეტი პრეტენზია მქონდეს საკადრო პოლიტიკასთან, იმიტომ რომ მიმაჩნია, რომ პირველი არხის ჟურნალისტების ნახევარზე მეტი ვერ აკმაყოფილებს ჟურნალისტურ სტანდარტებს.

მაინტერესებს, რატომ აძლევთ თავს იმის უფლებას, რომ რაღაც შესთავაზოთ სხვა პოლიტიკურ პარტიას, მე რატომ არ მეკითხებით ამის შესახებ, იქნებ ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა იმ პოლიტიკური პარტიის ქვოტას. გაუგებარია, რატომ სთავაზობთ ქვოტებს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს. გამოაცხადეთ, რომ ნებისმიერ ინტერესთა ჯგუფს აქვს უფლება დაასახელოს კანდიდატები და შემოიტანოს პარლამენტში განუსაზღვრელი რაოდენობით. შედეგს პარლამენტში ინტერპარტიული კომისია, რომელიც ღიად და საჯაროდ აირჩევს კანდიდატებს და არა ისე, როგორც საბჭომ შეარჩია ამჟამინდელი დირექტორი. მაინტერესებს, რატომ გავიდა ეს ადამიანი მესამე ადგილზე და რა კრიტერიუმით არ აირჩიეს ლალი მოროშკინა, ბ-ნი ეროსი კიწმარიშვილი, ან სხვები. გია ჭანტურიამ, რომელიც ხმების მინიმალური რაოდენობით დაამტკიცეს, დაარღვია ნორმატიული აქტი. შეგახსენებთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი არის ნორმატიული აქტი. რომ გადაწყვიტოს ამ ადამიანმა ფაშისტური გადაცემების კეთება, ვინ შეაჩერებს მას? თუ საბჭო დაკომპლექტდება „ქრისტიან-დემოკრატებისაგან“ და სხვა ექსტრემისტული მემარჯვენე პარტიებისაგან, რომლებიც აპელირებენ პოპულარული გრძნობებით, ვინ შეაჩერებს გია ჭანტურიას ფაშიზმს, თქვენ შეძლებთ მის შეჩერებას?

**პავლე კუბლაშვილი** – თქვენ თუ გინდათ, რომ იყოს რომელიმე პოლიტიკური ორგანო, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ დირექტორი რაიმე სახის განცხადებას არ გააკეთებს, ასეთი პოლიტიკური ორგანო ვერსად ვერ შეიქმნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გახდება ცენზურის რაღაც ეტაპი. იმისთვის, რომ ასეთი რამ არ მოხდეს, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილები უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ასეთ შემთხვევებში ექნებათ რეაგირების სურვილი, შესაძლებლობა და უფლება.

**გიორგი ჩხეიძე, “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” აღმასრულებელი თავმჯდომარე** – საუბარია პოლიტიკურ ორგანოზე, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ან არ უნდა გააკონტროლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა, ამას გულისხმობდნენ სწორედ საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ საბჭოს თხუთმეტივე წევრის შეცვლას და საბჭოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებას. თუ ჩვენ ვტოვებთ იმ შემადგენლობას, რომელიც დღეს არის საბჭოში, ვტოვებთ იმ ფაქტორს, რომ ისინი პოლიტიკური სუბიექტების აზრების გამომხატველნი არიან. შესაბამისად, ან ვაღიაროთ, რომ საზოგადოებამ დაკომპლექტოს ეს ორგანო,



რომელმაც თავისი ფუნქცია კანონის შესაბამისად უნდა შეასრულოს, ან ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნაწილობრივ ხდება და არაეფექტურია. რატომ ვუდგებით ამ საკითხს ნაწილობრივ?

**პავლე კუბლაშვილი** – ჩემი აზრით, რაღაც მომენტში სტაბილურობასაც აქვს მნიშვნელობა და ეს საბჭოსაც ეხება. არ შეიძლება ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის შემდეგ თავიდან დავიწყოთ საუბარი საბჭოს დაშლაზე. ასეთი მიდგომით შორს ვერ წავალთ. პირიქით, ვფიქრობ, რომ საბჭოს განახლება დღეს შეიძლება იყოს პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსის და თავად საბჭოს წევრების თავიანთი საქმიანობის მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოკიდების შესაძლებლობაც.

**ნინო ზურიაშვილი, ჟურნალისტი** – ბ-ნო პავლე, თქვენ თქვით, რომ არ არსებობს პასუხისმგებელი ორგანო. რატომ არ შეიძლება პასუხისმგებელ ორგანოდ ჩაითვალოს პარლამენტი, რომელმაც აირჩია საბჭო, ბორდმა კი, დირექტორი? გარდა ამისა, არსებობს რეიტინგი, საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგები. ევროკომისიამ დააფინანსა კვლევა, რომელიც მარინა ჩიტაშვილის ორგანიზაციამ განახორციელა, ეს კვლევა ფართოდ იყო გაშუქებული და შეიძლება გახდეს სახელმძღვანელო იმისთვის, რის მიხედვით დახურონ ან არ დახურონ გადაცემები. ამ კვლევის თანახმად, ხელისუფლებაზე ამ არხით გაკეთებული იყო 107 დადებითი სიუჟეტი და ოპოზიციასზე მხოლოდ 2.

და კიდევ ერთი საკითხი, როგორც თქვით, პატიოსნად აპირებთ შეთანხმების დაცვას, რომელ პოლიტიკურ პარტიებზე ნაწილდება ქვოტები.

**პავლე კუბლაშვილი** – მე მიმაჩნია, რომ პარლამენტთან მონიტორინგის საკითხების დაკავშირება არასწორია, ისევე როგორც, ვფიქრობ, რომ მთავარი განმსაზღვრელი უნდა იყოს სწორედ რეიტინგები და ის, თუ რამდენი მაყურებელი ჰყავს ამა თუ იმ გადაცემას.

მეორე შეკითხვა პოლიტიკურ პარტიებს ეხებოდა. ჩვენ ძალიან საინტერესო ურთიერთობის გამოცდილება გვაქვს პოლიტიკურ პარტიებთან. ეს გამოცდილება მდგომარეობს იმაში, რომ შეთავაზებაზე პირველი რეაქცია, როგორც წესი, არის უარი. შემდეგ, პოლიტიკური პარტიების ნაწილი ერთვება ამ პროცესში, მეორე ნაწილი განზე დგება. ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აქვს სურვილი, ამ პროცესში მიიღოს მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა წარმოდგენილი პარლამენტში, ამის შესაძლებლობა აქვს. ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს შესაძლებლობა მხარი დაუჭიროს რომელიმე ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს, და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდეს შეთანხმება.

**თამარ ხიდაშელი** – ბ-ნო პავლე, თქვენ გამუდმებით საუბრობთ პოლიტიკურ გარიგებებზე. მაინტერესებს, რას უზამს პარლამენტი წარდგენილ კანდიდატებს, განიხილავს თუ არა საერთოდ არაპოლიტიკური ძალების მიერ დასახელებულ კანდიდატებს?

**პავლე კუბლაშვილი** – არანაირი შეზღუდვა არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობა პარლამენტში იქნება ამ კანდიდატებთან დაკავშირებით. რაც შეეხება გადაწყვეტილებას, ამისთვის, რადგან მას პარლამენტი იღებს, მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პარტიებს შორის თითოეულ დასახელებულ კანდიდატთან დაკავშირებით კონსენსუსი იყოს მიღწეული.

**შორენა შავერდაშვილი** – მედია-კლუბის ინიციატივაზე ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ არასამთავრობო სექტორის ხელმოწერებს. ბ-ნ ირაკლის შექმნილი მხოლოდ სიტყვიერად გამოეხატა მხარდაჭერა.

**ნინია კაკაბაძე** – ეს არის ინიციატივის მხარდაჭერა. თუკი ბ-ნი პავლე, რომელიც არის უმრავლესობის წარმომადგენელი, უჭერს მხარს ამ ინიციატივას, მაშინ, მას შეუძლია ხვალვე გამოვიდეს პარლამენტში, გაახმოვანოს ჩვენი ინიციატივა და თქვას, რომ დავიწყეთ დეპოლიტიზების პროცესი, დავშალეთ საბჭო და თავიდან ავირჩიეთ.

**ნინო დანელია, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი** – დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ალიანსს“ ინიციატივის მხარდაჭერისთვის. ჩვენ ვიმყოფებით პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეში, და ყველაზე დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადა სწორედ იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც არ არის ამ პოლიტიკურ პოლუსებზე და ამისთვის კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ბ-ნო პავლე, თქვენ ბრძანეთ, რომ ობიექტურობის მიმართ ყოვეთვის შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია, მაგრამ ამის შეფასება ძალიან ადვილია, არსებობს მეთოდოლოგია, არსებობს ჟურნალისტური სტანდარტები და პრინციპები, რისი გაზომვაც შეიძლება. რასაკვირველია, ცენზურა დაუშვებელია, მაგრამ საბჭოს თავის საქმიანობაში აქვს ძალიან სერიოზული დარღვევები. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ეს დირექტორი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული, მაგრამ არის ძალიან სერიოზული ფინანსური დარღვევებიც. საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს არის ბანკროტი, დღეს ისინი ვეღარ აკეთებენ ახალ გადაცემებს, იმიტომ რომ ფული აღარ აქვთ. არის ბიუჯეტის გადახარჯვა, და ეს არის საზოგადოების ფული ძალიან ბევრი პარამეტრით. ყველაფერი ეს უნდა გააკონტროლოს საბჭომ, რომელსაც უშუალოდ ევალება ტენდერების გაკონტროლება. ახლა, როგორც ვიცი, აპირებენ სესხის აღებასაც. ეს ყველაფერი არის საბჭოს საქმიანობის პროდუქტი. იმიტომ კი არ უნდა დაიშალოს საბჭო, რომ თქვენ ოდესღაც მხარი დაგიჭირათ, არამედ იმიტომ, რომ არასწორად მართავს საქმიანობას და არასწორ მიმართულებას აძლევს საზოგადოებრივ მაუწყებელს. აღარაფერს ვიტყვი პროგრამულ პრიორიტეტებზე და არასწორ ტენდერებზე. საბჭო ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ბ-ნი ლევან გახელაძე ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციების გაზრდას ითხოვს.

**გოგი გვანარია** – დებატების დასასრულს სამივე მომხსენებელს ვთხოვ საუბრის შეჯამებას.

**ირაკლი ალასანია** – კიდევ ერთხელ მადლობას გეტყვით იმისთვის, რომ ამ ინიციატივით გამოხვედით, ეს ჩვენი მხრიდან მართლა გულწრფელი მხარდაჭერაა, იმიტომ რომ სხვა გამოსავალს ისედაც ვერ ვხედავთ. პოლიტიკოსებისგან და პოლიტიკური პარტიებისგან მართლაც თავისუფალი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭო.

რაც შეეხება შეკითხვას, თუ როგორ გვესახება სამომავლოდ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირება, ბუნებრივია, ვიხრები იქითკენ, რომ „ბი-ბი-სის“ ტიპის მაუწყებელი ჩამოყალიბდეს, იმიტომ რომ ეს მრავალი წლის განმავლობაში აპრობირებული სისტემაა. ალბათ, ეს იქნება ყველაზე კარგი მოდელი, რომელიც სახელმწიფო კონტროლისგან რეალურად უზრუნველყოფს არხის დამოუკიდებლობას და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა პროცესებს ადექვატურად და ობიექტურად ასახავს.

თუკი ჩვენს ქვეყანას ნორმალური პოლიტიკური პროცესები უწერია, დეკემბრამდე უნდა მოხდეს შეთანხმება პოლიტიკურ ძალებს შორის, როგორი ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარდეს ქვეყანაში. მე არა მაქვს იმის იმედი, რომ ნაციონალურ არხებზე რაიმე სასიკეთოდ შეიძლება. ცვლილების შესაძლებლობას ვხედავ სწორედ საზოგადოებრივ მაუწყებელზე და კარგი იქნება, თუ არსებულ შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებთ.

კონსულტაციების შედეგად სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ვთხოვთ, რომ თავიანთი მხარდაჭერა ამ ინიციატივის მიმართ ღიად გამოხატონ.

აქ საუბარი იყო სტანდარტებზე, რითიც ფასდება არხის მუშაობა, დღეს გვქონდა ამერიკულ ორგანიზაციასთან, IRI-სთან შეხვედრა, რომელმაც ასევე ჩაატარა გამოკვლევა. ძალიან სიმპტომატური იყო, რომ თბილისში, „კავკასია“, რომელსაც შეუდარებლად ნაკლები ბიუჯეტი აქვს, ვიდრე პირველ არხს, რეიტინგით უსწრებს საზოგადოებრივ მაუწყებელს. ამკარად არის პრობლემა, რომელსაც მიხედვა სჭირდება და ეს ყველას ინტერესებში უნდა შედიოდეს.

**პავლე კუბლაშვილი** – ვფიქრობ, რაც უფრო ნაკლები იქნება კონფლიქტი და გაუგებრობა საინფორმაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, მით უფრო წაადგება ამ არხს, იმიტომ რომ ხალხი აფასებს არა მარტო საინფორმაციოს, არამედ მთლიანად, გადაცემებს და მათ ხარისხს. აზრი, რომელიც წარმოდგენილი იქნება სამეურვეო საბჭოში, დამოუკიდებელი უნდა იყოს მისი წარმდგენი სუბიექტებისგან.

რაც შეეხება შრომის კოდექსს, ვემხრობი კურსს, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებსა და მიდგომას უკავშირდება სამეწარმეო ბიზნეს-გარემოსთან მიმართებაში. ვფიქრობ, რომ დამსაქმებლის პოზიცია უფრო მეტად განსაზღვრავს ნებისმიერი საქმის წარმატებას. მზად ვარ ამ თემაზე სასაუბროდ, ეს ერთ-ერთი ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემაა.

ბოლოს მოგახსენებთ, რომ პირადად მე, ნინო დანელიას კანდიდატურას აუცილებლად დაუჭერ მხარს. ეს არის ჩემი პირადი და არა „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია.

**ნინია კაკაბაძე** – ვივარაუდოთ, რომ მივიღეთ ყველაზე ნეგატიური შედეგი და სამეურვეო საბჭოში ჩვენგან ერთი კანდიდატი მოხვდა, მასაც ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია. შიგნიდან გაცილებით უფრო ადვილია სიმანინჯესთან და მანკიერებასთან ბრძოლა, ვიდრე გარედან. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარბაზში არ არის შეკრებილი საზოგადოება, რომელსაც აინტერესებს რომელი მიტინგი რამდენი წუთით უქტდებოდა ტელევიზიით, დღევანდელი დისკუსიიდანაც ჩანს, რომ მაინც ძალიან დიდა დაკვეთა ობიექტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საინფორმაციო გადაცემაზე. ეს თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე, მაგალითად, დიდი ხანია, ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებს აღარ ვუყურებ და ახალ ამბებს რამდენიმე ინტერნეტგვერდის საშუალებით ვეცნობი. მაგრამ მთელი საქართველოს მოსახლეობას არა აქვს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება, ამიტომ დაკვეთა ჯერ კიდევ ძალიან დიდა, და აუცილებლად უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ გვქონდეს თუნდაც ერთი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საინფორმაციო გამოშვება. თუმცა, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ამ არხის ფუნქცია არ არის მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები და გადაცემები. მას ძალიან ბევრი საპასუხისმგებლო ფუნქცია აქვს, რომელიც უნდა შეასრულოს. ჩვენი ნაბიჯიც იქით არის მიმართული, რომ როგორმე მივიღეთ იმ შედეგამდე, რომ ყველაზე არაპოპულარული და მივიწყებული ფენებისთვისაც კი მზადდებოდეს ამ არხზე გადაცემები, და მართლაც მთელი საქართველოს მოსახლეობას მოიცავდეს დიდი მადლობა.

**გოგი გვახარია** – მგონი, დავგრჩა ერთი თემა, რომელზეც დღეს არ გვისაუბრია, ეს არის ჟურნალისტების განათლების საკითხი. ვინ უნდა იმუშაოს კარგ საზოგადოებრივ მაუწყებელში? ძალიან დიდი ბოდიში, აქ ბრძანდებით ჟურნალისტებიც, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ ვთქვა: მთელი საღამოს განმავლობაში ცალკე ნინია და ცალკე მე, ვიღებთ SMS-ებს: „თუ შეიძლება მოგვეცით ემირ კუსტურიცას ტელეფონის ნომერი“. თუ ასეთი სიტუაცია იქნება ამ ქვეყანაში, რა მნიშვნელობა ექნება, ვინ იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ღირექტორი?